№ 254 ნოემბერი 29, ხუთშაბათი 1890 ნოემბერი 29, ხუთშაბათი № 254

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესაწვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

სახალხო თეატრი

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს,

ქართულ დრამატიულ დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

**ადვოკატები**

კომ. 3 მოქ., რაფიელ ერისთავისა.

II

**„მათიკო“**

მესამე მოქმედება ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. დიდებულიძისა, იოსელიანისა, ციციშვილისა; ბ.ბ. აწყურელი, ნებიერიძე, გამყრელიძე, ადამიძე, მჭედლიშვილი, გულისაშვილი და სხვ.

ადგილების ფასი პარტერში: 1 რიგი 1 მ. 50 კ., მეორე—1 მან. 20 კაპ., მე-3, 4, 5, 6, 7, 8—1 მან., მე-9, 10, 11—75 კ., მე-12, 13, 14—50 კ., მე-15, 16, 17—40 კ. დანარჩენი 30 კ. გალერეა: 1, 2, 3, 4, 5, 6 რიგები—20 კ., 7, 8, რიგი 15 კ. დანარჩენები—10 კ.

დასაწყისი 8 საათზედ.

გამგე და რეჟისორი ა. ნებიერიძე.

---

ქართველთა ამხანაგობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ დანიშნულია ორი პრემია საუკეთესო ისტორიულ მოთხრობისათვის, რომელიც სივრცით უნდა იყოს: პირველი არა ნაკლებ 10 ბეჭდურ თაბახისა და მეორე—5 ბეჭდურის თაბახისა. პირველ პრემიად დანიშნულია 200 მან., ხოლო მეორედ 100 მან. პრემიით დაჯილდოებულს მოთხრობას ამხანაგობა გამოსცემს არა უმეტეს 1200 ეგზემპლიარისა, რომლის გაყიდვას შემდეგ ავტორს ეძლევა ყოველივე უფლება საკუთრებისა. მოთხრობის დასაფასებლად წაკითხვის დროს მოწვეულნი იქმნებიან ჩვენი საუკეთესო მწერალნი. მოთხრობანი წარმოდგენილნი უნდა იქმნან ნოემბრი 1-მდე 1891 წ. მოთხრობასთან ერთად უნდა გამოიგზავნოს გვარი და ადრესი ავტორისა დაბეჭდილს კონვერტში. ადრესი ქალაქს გარედ მყოფთათვის: Правленію Грузинскаго Издательскаго Товарищества. Тифлисъ.

(10—9)

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ ამ თთვის 28, კავკავიდგან დეპეშა მოვიდა, რომ წუხელ ღამის სამს საათზე მიწა იძრაო. მიწის ძვრა ძლიერი არ იყო; მაგრამ ეს იმითია შესანიშნავი, რომ როგორც კავკავის გზაზე მოგზაურნი ამბობენ, კავკასიის მთებში გზიდგან მოშორებით სჩანდა თურმე ცეცხლის ალი. პირველად ჰგონებიათ, ტყეს ცეცხლი უკიდიაო, მაგრამ შემდეგ საშინელი გრგვინვისა და ქუხილის ხმა შემოესმენიათ შორიდგან, თუმცა ცა მოღრუბლულიარა ყოფილა. ბოლოს მიმხვდარან, რომ ეს ცეცხლ-მფრქვეველი მთა ყოფილა.

*** კვირას ტფილისის პირველს კლასიკურს გიმნაზიაში კარგის სწავლისა და ყოფა-ქცევისთვის დააჯილდოვეს შემდეგი ქართველი მოწაფენი: ზურაბ ავალიშვილმა (მეხუთე კლასის მოწაფეა) პირველ ხარისხის ჯილდო მიიღო (ე. ი. მოწონების ფურცელს გარდა, მიიღო საჩუქრად რამდენიმე ძვირფასი წიგნიც). მხოლოდ მოწონების ფურცელი მიიღეს: ლადო მახვილაძემ, ალექსანდრე გძელიშვილმა, კონსტანტინე ელიოზიშვილმა, ალექსანდრე სავანელმა და ნიკოლოოზ ძიძიგურმა. ამათ გარდა მუსიკის კარგად ცოდნისათვის დააჯილდოვეს მეექვსე კლასის მოწაფე მიხეილ თაქთაქიშვილი და კარგის გალობისათვის მესამე კლასის მოწაფე დავით გედევანიშვილი.

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს 26 ნოემბრის სხდომაზე სჯა იყო 15 ხმოსნის მიერ შეტანილს განცხადებაზე იმის შესახებ, რა წესით უნდა მოხდეს ხოლმე მესამე ხარისხის ხმოსანთა არჩევანების დროს კენჭის ყრაო. ამ განცხადების შემტანი ხმოსნები ითხოვდნენ, ერთხელვე გადასჭერით ეს საგანი, რომ შემდეგში იმ გვარი უწესოება არა მოხდეს-რა, როგორც მოხდა 18 ნოემბერსაო, მაგრამ სხდომამ ამაზე სჯა შესწყვიტა და სხვა საგნების განხილვას შეუდგა. სხვათა შორის, როცა იმის შესახებ ჩამოვარდა ლაპარაკი, რომ სამართალში მიეცეთ სავაჭრო დეპუტაციის მწერალი ალერწიანიო, საბჭომ დაადგინა, ჯერ-ჯერობით თავისის საქციელის პასუხი თვით ალერწიანს მოვთხოვოთო.

*** ჩვენ არა ერთხელ გვქონია დაბეჭდილი ცნობა იმის შესახებ, რომ ტფილისში ახალი საზოგადოება ჰსურთ დაარსონ და ამ საზოგადოებამ უნდა იკისროს ხილის ჩამოტანა ქალაქში, ხილის საერთო საწყობის გამართვა და ყიდვა მცხოვრებლებზედ რაც-კი შეიძლება იაფ-ფასად, რომ ამითი წინააღმდეგობა გაუწიოს ბაყლებისა და კინტოების მიერ ყველაფერში ერთიორად ფასის აღებას. ამ საზოგადოების პროექტი მთავარ-მართებელს წარუდგინეს დასამტკიცებლად, ხოლო მთავარ-მართებელმა გადასცა სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტს, რომ სამეურნეო საზოგადოებამ ერთს თავისს კრებათაგანზედ განიხილოს და თავისი აზრი წარმოსთქვას ამ საგნის შესახებაო. ეს პროექტი ზემოხსენებულმა საზოგდოებამ უკვე განიხილა და დაადგინა, რომ ასეთ საზოგადოებათა დაარსება ფრიად სასარგებლოა ჩვენს ქვეყანაში, მხოლოდ კარგი იქმნებოდა, რომ საწევრო ფულს ან ახზინაში შეიტანდნენ სადმე, ან რომელსამე სხვა სახელმწიფო დაწესებულებაში და საზოგადოების მმართველობას-კი არა ჰქონდეს მინდობილი, რათა ყოველ გვარი უსიამოვნო ხმა და ჭორი აცილებული იქმნესო.

*** როგორც მოგეხსენებათ, ბუხრების წმენდა ქალაქის გამგეობამ ითავა წრეულს და თითო ბუხარში ორორს შაურს სახლის პატრონებს ახდევინებს. ამ ორ-ორ შაურობით გამგეობამ 3,500 მანეთამდე ფული შეჰკრიბა, მაგრამ ბუხრების წმენდა-კი ჩაილულის წყალს გაჰყვა. გამგეობამ ათიოდე ბუხრის მწმენდავი დაიქირავა და დაავალა თურმე, რომ იარეთ და სწმინდეთ ბუხრებიო. დაავალა-კი, მა-

---

# ფელეტონი

## ასის წლის წინად

ტიკინი.

V*)

დომინიკმა დღეს ჩვეულებრივზე გვიან გაიღვიძა. როცა დაბლა ჩამოვიდა, ვიღაც უცნობის ხმა შემოესმა. სამზარეულოში ვიღაცა უცხო ტრიალებდა და ბძანებას აძლევდა პეგის.

— ქალბატონს რძიანი ცხელი ყავა უყვარს... ყავას უთეთრ პუროდ არ მიირთმევს... მართლა, სად არის თაფლი! მაგრამ რა, თქვენ ხომ არაფერი გაქვთ...

გაკვირვებული დომინიკ მივიდა სამზარეულოს კარებთან და ვიღაც მაღალ-მაღალი, გამხმარი დედაკაცი დაინახა.

პეგმა დომინიკს მოკლედ გადასცა უცნობის ვინაობა. ეს დორეტია, ჩვენის მადლინას მამიდას მოახლეა. მადლინას წუხელ მამიდა მოუვიდა და თავისთან წაყვანას უპირებს.

მადლინამ იცოდა, რომ მამიდა ჰყავდა, რომელიც გერმანიაში სცხოვრობდა, მაგრამ ის-კი არ იცოდა, თუ სად, რომელს სოფელში. სწორედ ამიტომ მადლინას ორივე წერილი, ლონდონიდგან გაგზავნილი, არ მისვლოდა იმის მამიდას.

მამიდაც თავისს ძმისწულს კარგა ხანს ეძებდა და ბოლოს ინგლისში მოვიდა. მკითხველისთვის მოსაზრებელი და უმნიშვნელოა იმის მოგზაურობის დაწვრილებით აწუსხვა.

სადილობის დრო რომ მოახლოვდა, მამიდა და მადლინა დაბლა ჩამოვიდნენ.

მადლინას თვალები საშინლად ჰქონდა გაწითლებული...

— შენ რომ მითხარ, ეს ის ბიჭია? ჰკითხა მამიდამ მადლინას და თავი დომინიკისაკენ გაუქნია.

— დიაღ! მადლინამ მოაგლო ხელი შორი-ახლო მდგომს დომინიკსა და მიიყვანა მამიდასთან.

— ეს ჩემი ძმობილი დომინიკია...

— ძალიან კარგი! მე შევიტყე, მიუბრუნდა დომინიკს, რომ ღირსეულად ინახავდი და უფრთხილდებოდი შენს პატარა ქალბატონს! დიდად გმადლობ და იმედიცა მაქვს, სამაგიეროს გადაგიხადო, როცა-კი ყველაფერი დაწყნარდება... ეხლა-კი შეგიძლიან სამზარეულოში წახვიდე და ჩემი გოგო გაიცნო.

— რას ამბობ, მამიდა!.. დომინიკი...

— იქნება სუფრაზე გიმსახურებიათ! მადლინა ჰარხალიევით გახდა.

— დომინიკი ყოველთვის ჩვენთან სადილობს.

— მართლაო? შუბლ-შეკვრით წამოიძახა მადლინას მამიდამ.

— საკვირველია, რომ ახალი აზრები ძველის-ძველ ოჯახშიაც-კი ვრცელდება...

— სათქმელი აღარ არის, რომ დღეს მუშტრები ტყუილად ელოდნენ ხინკალს, მაგრამ მადლინას იმათი ჯავრი არა ჰქონდა...

საღამოზე მამიდამ დაუძახა და უთხრა...

— უნდა გესმოდეს, ჩემო კარგო, რომ ვიღაც მზარეულთან დაახლოვებას უნდა ერიდებოდე. დროა, შენის ღირებისა დაგვარ ცხოვრებასა და ნაცნობებს დაუბრუნდე. წელიწადში ოთხას თუმნამდე შემოსავალი მაქვს. ეს ფული დიდი არაფერია, მაგრამ მაინც ამ არეულობისაგანაც გადატაკებულს ხალხში ორივეს ღირსეულად შეგვიძლიან თავი დავირჩინოთ. ჩემი მოახლე მოხერხებული დედაკაცია და ხვალვე შესაფერ სადგომს გვიშოვნის; თუ გსურს, დომინიკს არ დავითხოვ. თუ უნდა, მზარეულად დარჩეს ჩვენთან, ან კიდევ კარის კაცად. თუ სხვაგან დადგება და მოგვშორდება, ეგ ხომ უფრო უკეთესი.

მადლინამ მთელი ღამე ტირილში გაატარა... მაგრამ დომინიკმა-კი არა იცოდა-რა... ის მზის ამოსვლის უმალ სახლიდგან გავიდა და უგზო-უკვლოდ დახეტიალებდა ქუჩებში... უბრალო ხეტიალი მოსწყინდა... იყიდა ახალი გაზეთი და იქვე ბაღში შევიდა...

გაზეთში ამოიკითხა, რომ ფრანგებმა გაიმარჯვეს უკანასკნელ შეტაკების დროსაო... იქვე იყო ნათქვამი, რომ თავისის სურვილით შესული ჯარის-კაცები ორსა და სამს შეტაკების შემდეგ დიდს თანამდებობას იჭერენო. ერთმა უბრალო ასის თავმა ორ თთვეზე სარდლობა მიიღოო. დომინიკი დაფიქრდა... უცებ მოიმხიარულა, წამოდგა და უმთავრესს ხეივნისაკენ გაიარა. აქ შენიშნა სკამზე ვიღაც, რომელიც დაფიქრებული იჯდა და გაცხარებით გაზეთს კითხულობდა. თუ არა ვცდები, ეს კაცი, ჩემი კარგი ნაცნობი უნდა იყოსო, გაიფიქრა დომინიკმა. უცნობმა აიღო მაღლა თავი, შეჰხედა დომინიკს და ორივემ ერთად წამოიძახეს.

— დომინიკ!

— ბ-ნო ბოშ!

— მე ვარ, ჩემო კარგო! მხედავ, თავს აღარ ვიზერებ, რადგან პუდრს იჯარა დაადეს.

— რა გამეხარდა რომ გნახეთ, ბ-ნო ბოშ!

— მაშ შენ არა გჯერა ის ჭორი, რომელიც ჩემს შესახებ დადის.

— სრულიადაც არა, მაგრამ მე ვინ რას გამიგონებდა! მიამბეთ, გეთაყვა, რას აკეთებდით, ან სად იყავით იმას შემდეგ.

— რა გითხრა! სწორედ, რომ მწარე საათები გამოვიარე! იქ რა მიჭირდა, მითომ-და მოხუცს კაცს, მილოლიავებდა და მივლიდა ქერივი დედაკაცი. მაგრამ ეს რა სალაპარაკოა. ჭკვიანმა კაცმა ყოველ გვარს უბედურებას უნდა გაუძლოს. მიამბე, თქვენკენ რაღა ამბავია, როგორ სცხოვრობთ.

— რა გიამბოთ! ახლა ჩემის გამოძევების დღე დადგა! დომინიკმა უამბო მადლინასი და იმის მამიდას ამბავი.

— ეხლა რას აპირობთ?

— საფრანგეთში უნდა დავბრუნდე და საზღვარზე მიმავალს პირველს ჯარში უნდა ჩავეწერო...

— ძალიან, ძალიან კარგი ფიქრია! წამოიძახა გახარებულმა ბოშმა.

— ნეტავ მეც შენსავით ახალგაზრდა ვიყო. თქვენ ახალგაზრდანი ხართ. ბევრი საქმის გაკეთება შეგიძლიანთ. ახალ საუკუნეს ეკუთვნით. ჩვენი დრო წავიდა, შავად და ბნელად მოელო ბოლო. მაგრამ ნუ-კი დაივიწყებ და მომიგონე, როცა XVIII საუკუნეს

*) იხ. „ივერიის“ № 253.

გრამ ასრულებენ ესენი თავისს მოვალეობას, თუ არ ასრულებენ, იმას არავინა კითხულობს. ზოგიერთი სახლის პატრონი ეხლა ჩივილს უპირებს ქალაქის გამგეობას, რადგან ამათს მამულში ბუხრის გაუწმენდაობის გამო ცეცხლი გაჩენილა და მიზეზი, რასაკვირველია, ამ ზარალს გამგეობა გახდომია თავისის დაუდევნელობითა და თავის შეუტკივრობით. ნუ თუ არ შეიძლებოდა, რომ ეს უბრალო საქმე მაინც პირ-ნათლად შეესრულებინა გამგეობას ჩვენის ქალაქისას, მით უმეტეს, რომ თავის და თავად ითავა და იკისრა ეს საქმე და 3500 მანეთიც ჩაჯიბა. თუ არ შეუძლიან ამ საქმის შესრულება და რაღად ითავა. იმ ანდაზას მაინც ნუ დაივიწყებენ ჩვენის ქალაქის გამგეობის მეთაურნი, რომ ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ ნუ თრთიო.

*** პეტერბურგი: ჩვენს პატივცემულს პროფესორს დ. ჩუბინაშვილს, რომელიც ამ ჟამად უკვე კარგადა ჰგრძნობს თავს, განზრახვა აქვს ცალკე წიგნად გამოსცეს თავისი ლექციები ქართულის ენისა, ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ. პატივცემულმა პროფესორმა ამ ზაფხულს უნდა მიჰყოს ხელი ამ საქმეს და, იმედია, ჩქარა დაავეირგვინებს კიდეც.

*** იქიდამვე: ამ რუსეთის დედაქალაქში, ვასილის კუნძულზედ, სხვათა შორის, წმ. ანდრიას სახელობაზედ აშენებული ეკკლესიაც არის. ამ ეკკლესიაში დასაფლავებულ ერთის მიცვალებულის ქვაზედ ფრიად საყურადღებო ქართული ზედ-წარწერაა. რადგან ეს ზედ-წარწერა ბევრისთვის უნდა იყოს საყურადღებო, ამიტომ მოგვყავს შეუმოკლებლად: „ჵი საყვარელნო ძმანო ჩემნო წარმავალსა სოფელსა ამას შინა ვიყავ ასული თავადის სახლთ-უხუცესის კნიაზის ნოდარ ჯორჯაძისა და სახელი მედვა წმ. ემბაზითგან კნიაჟნა გუქა, ბრძანებითა ღვთისათა მეუღლედ ქართლის პირველის გვარის თავად მაიორს კნიაზს ედიშერს ამილახვარს კეთილ-მეუღლეობით განვლიეთ დღეთა აქამომდე სამკვიდროთა და საყოფელთა ჩემთაგან ხევბულ ქმნილი. უცხოთა ალაგთა ბრძანებითა ღვთისათა მიცვალებული ვიქმენ სოფლისა ამისაგან სამეუფოსა ქალაქსა ამას შინა პეტერბურგს წელსა ჩღმე (1745) თვესა მარტსა კჱ (28). ვიყავ ჟამსა ამას შობითგან წლისა ლზ (37) და პატიოსანთა სასაფლაოთა წილი მოვიგე საფასით მეუცხომან საფლავი ესე და მიღებულ ვიქმენ მიწად ეკკლესიასა ამას წმ. მოციქულისა ანდრიასასა და არა დამიშთა შეილიერება ჩემი ქვეყანასა ზედან ნუგეშინის საცემლად სულთა ჩემთა. საყვარელნო მამანო და ძმანო ჩემნო ვინცა ნახოთ ჩემი ცოდვილის და უცხოსა საფლავი და ლოდი მდებარე ესე ჩემზედან შენდობა მითხოვეთ ღვთისა მიერ ცოდვათა ჩემთა, რათა ღმერთმან თქვენცა მოგიტევნენ ცოდვანი თქვენი“. ამ ქართულს წარწერას შემდეგ ქვას საფლავისას სამი სტრიქონიც რუსული წარწერაცა აქვს, მაგრამ ეს წარწერა ახალს არას ამბობს და ამიტომ უსარგებლოა მისი განმეორება.

*** სოფ. მანავი (ტფილისის მაზრა): ამ თთვის 12-ს მობრძანდა სართიჭალის განყოფილების მეტყევე თანაშემწე. ბ-ნი მეტყევე იმ გარემოებას მოეყვანა ჩვენს სოფელში, რომ ერთი ჩვენს სოფელში დროებით შემოხიზნული უჩიოდა აქაურს „აბაშიძეს“, ქრთამი აიღოვო. ბრალდებულმა კიდევ თავის მხრივ განაცხადა, რომ მომჩივანმა უბარათოდ, ნება-დაურთველად გამოიტანა ტყიდგან მორებიო. მომჩივანს მოწმად ჰყავდა ერთი იმ დარაჯთაგანი, რომლის დახმარებითაც გამოეტანა მორები. ამ საჩივარის შესახებ ოქმი შესდგა და არ ვიცით, რა შედეგი ექნება.

## ქართული თეატრი

სამშაბათს, 27 ნოემბერს, ქართულს თეატრში წარმოადგინეს „მტარვალი“, ისტორიული დრამა 5 მოქმედებად ახალგაზდა ავტორისა, ბ-ნ ლაზარიშვილისა. პირველშივე ამ პიესის ცოტა თუ ბევრი ქება ისმოდა საზოგადოებაში და სხვათა-შორის უთუოდ ამიტომ ბლომად მოეყარა მაყურებელმა თავი თეატრში. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ისტორიული დრამა, ჩვენის წარსულის ცხოვრების შესახები, მოსწონს ჩვენს ხალხს და ბლომად ესწრება მის წარმოდგენას, რაიცა ისე ცხადად დაგვიმტკიცა „სამშობლომ“. სამშაბათს უფრო ბლომად მოსულიყო მდაბიო ხალხი, შეგირდობა სხვა-და-სხვა სასწავლებლებისა. ესრედ წოდებული ქანდარა სავსე იყო ხალხით. პარტერი და ლოჟებიც არ იყო ცარიელი. რაც სეზონი დაიწყო წელს, პირველად დავსწრო ასე ბლომად საზოგადოება, ინტელიგენციის წარმომადგენელთაც ხშირად მოჰკრავდით თვალს დამსწრეთა-შორის. ბლომად იყვნენ ქართველი ქალებიც. შევნიშნეთ საკმაო რიცხვი სომხებისაც.

წარმოდგენა დაიწყო და მაყურებლები სმენად გადიქცნენ. პირველმა მოქმედებამ თვალ-წინ გაგვიარა და დავინახეთ, როგორც ჩვეულებრივ ყველა პიესის წარმოდგენის დროს არის ხოლმე, კვანძი დრამისა, კვირტი ანუ კოკორი, რომელიც შემდეგ უნდა გამოხსნილიყო, გადაფურჩქნილიყო, გადაშლილიყო თავის თავად, ძალ-დაუტანებლივ, მარტო თავის შინაგანის ძალით. ავტორის ხელოვნება მხოლოდ იმაში უნდა გამოჩენილიყო, რომ იმის მხრით ძალაობა არ შეგვემჩნია კვანძის გამოსარკვევად, მარყუჟის გამოსახსნელად, იმისი გარდამეტებით მზრუნველი ხელი არ დაგვენახა, კვირტისა და კოკორის ძალის-ძალ გადასაფურჩქნელად. ძალაობა, თავნებობა არსად არ ვარგა, მით უფრო დრამაში, სადაც ავტორი და მისი ხელი არც-კი უნდა სჩანდეს.

პირველს მოქმედებაში ავტორი გვაძლევს ნასახს, და ეს ნასახი შემდეგ მთელს დრამაში თავისით უნდა გადიშალოს, თითქო მინდვრის ყვავილია, თავის-თავად გაზრდილიო. პირველი მოქმედება გვამცნევს, აი ესა-და-ეს კაცქალნი ამ დედა აზრზედ არიან გადაგებულნი, ეს ბედი ასჩენიათ, ესა-და-ეს საზრუნი და თავ-სატეხი აქვთ, ესენი გაშლიან თავიანთ ძალ-ღონეს, თავიანთ ფარ-ხმალს და ილაწვენ ისე, როგორც შინაგანი ძალი დედა-აზრისა ითხოვს, როგორც შეეფერება და შეეწონება მათ ხასიათსა, მათს გარემოებასა, მათ ვითარებას. ავტორის ნებით არა მოხდება-რა შემდეგ, იმის ძალ-დატანებით არც არავინ შევა და გავა სცენაზე, არც იტირებს და არც იცინებს ვინმე, არც მოკვდება თვითონ და არც მოჰკლავს ვისმე. ყოველსავე ამას თვით გარემოება საქმისა გამოიწვევს, ბუნება დრამის დედა-აზრისა და დრამის ქალ-კაცთა ხასიათისა მოიტანს. ლოდინი მაყურებლისა იმაზეა მიჩენილი, რომ თვით ავტორი არაფერს შუაში არ იქნება, სრულიად გადაგვავიწყდება და მოგვაგონდება მხოლოდ მაშინ, როცა გონს მოვალთ და ვიტყვით, ყოველივე, რაც ვნახეთ, ხომ მართლა ასე არ ყოფილა და ასე ოსტატურად ვინ წაგვიცდინა, ვისმა საიდუმლო ძალამ შემოქმედობისამ ოცნებილი მართალს საქმედ გადაგვიქცია, იმდენი რამ სანახავი გვაჩვენა და ჩვენ კი მისი ხელი ვერ შევამჩნიეთო. აი ამ გამორკვევას, ამ გამოფხიზლებას და გონს მოსვლას მოსდევს შემდეგ განცვიფრება, განკვირვება ავტორის ხელოვნებისა, მის შემოქმედობის საიდუმლოების წინაშე, უმაღლესი და უზენაესი დატკბობა, აღტაცება, აღფრთოვანება, გამოწვეული ადამიანის შეძლებულობით. ამას მოსდევს აღტაცებული ტაშის კვრა, ძახილი ბრავოსი და დიდი ყვირილი: ავტორი, ავტორიო!“

მართლაც, „მტარვალის“ პირველმა მოქმედებამ სმენა გაგვამახვილებინა, მიგვცა ფიქრსა და ჰო-არაობით გვაბჭობინა: აბა ვნახოთ, რა იქნება, როგორ წავა საქმე, რა მოუვა ალიბეგს, სიათას, თევდორეს, გიორგის, ალექსი სანდოშვილს, ქართველობას, რომელსაც თათრები უქადიან ამოწყვეტასაო! ბუნდად-კი სჩანს ეხლავე, რომ ყველა გაირჯება და თავისას მოითხოვს, ხოლო, რადგან ერთის სურვილი ერთია და მეორესი სხვა, მოსალოდნელია ამ სურვილთ ერთმანეთთან შეჭიდება, მოსალოდნელია, რომ საქმე გამწვავდება, ტანჯვა-წვალება დიდი გაჩნდება და, ვინ იცის, რამდენის ვაი-ვაგლახისა, უბედურებისა და, იქნება, სიხ ხლის ღვრის მოწმენიც შევიქმნეთო; იქნება ერთის ტანჯვამ ჩვენც დაგვტანჯოს, მეორის სიხარულმა ჩვენც გაგვახაროს და, ყოველ-დღიურის ცხოვრებით ასე გულ-გაქვავებულებს, გვაფრქვევინოს ცრემლი მწუხარებისა და სიხარულისაო.

დაიწყო მეორე მოქმედება და უფრო ჩავიხედეთ საქმეში, კარგა შორს შევედით დრამის მდინარეობაში და მივაღწიეთ მორევს, რომელსაც მესამე, მეოთხე მოქმედებაში უნდა დაეწყო ძლიერი ღელვა, ზვირთთა ხროლა და დრამის ქარტეხილს აქ უნდა ექუხ-ექექნა. ის ის იყო გულის თრთოლვით ვემზადებოდით ამ საშინელის სურათის ხილვას, ვილოცეთ ჩვენც გულში თევდორე—ალექსისთან ერთად მის მოლოდინის გამო.

მაგრამ აი დაიწყო მესამე მოქმედებაც და მორევი ისევ ისე სდგას, როგორც მეორე მოქმედებაში დავინახეთ, უფრო დამშვიდებული და დაწყნარებული, ვიდრე იქ გვეჩვენა. თითქოს თვალთაგან მოგვშორდა კიდეც ის მორევი და მისი მოსალოდნელი აღელვებ-აზვირთება. ამ ზღვაში ალარავინ შესულა დრამის მომქმედთაშორის, ვინც შევიდა, ისიც ავტორს შეჰყავდა ხელით და არა დრამის ტალღის ძლიერებასა. ჩაქრა დრამის ცეცხლი, გაცივდა მაყურებლის გულიცა, განელდა დრამის ყურების სურვილიცა.

ეს მესამე მოქმედება სრულიად მეტი იყო დრამისთვის და მის მიმდინარეობას თითქმის არაფრით არ შეეხებოდა. თითქო იმიტომ იყო ჩართული დრამაში, რომ პრტყელ-პრტყელი სიტყვები წარმოეთქვათ და ბანაკი, კარ-

---

მომავალში დიდის ქება-დიდებით მოიხსენებენ.

ბოშა და დომინიკმა ერთად ისაუზმეს. გამოთხოვების დროს ბოშამ დომინიკი დალოცა.

— ღმერთი იყოს შენი შემწე! ღმერთი-მეთქი, ე. ი. ის უმაღლესი არსება, რომელსაც ფილოსოფოსები...

— რად გინდათ განმარტოთ, ბ-ნო ბოშ? გააწყვეტინა სიტყვა დომინიკმა. ჩემი ღმერთი ის არის, რომელსაც ევედრებოდნენ და ლოცულობდნენ ჩემი წინაპარნი ჩვენს ეკკლესიაში. ციური მამა, რომელიც დღიურს საზრდოს გვაძლევს.

— ჩემიც! მორცხვადა სთქვა ბოშამ, მერე ისე ჩუმად, თითქოს რცხვენიანო, მაგრამ რათ უნდა შერცხვენოდა, როდესაც იმასაც ღმერთი პატარაობიდამვე ისე სწამდა, როგორც ყველა ქრისტიანს. მადელინამ მეორე დღეს დილით პატარა წერილი მიიღო. „მადელინა! რაკი მამიდა მოგივიდა, ეხლა გაბედვით შეგიძლიან სთქვა, რომ შენი მდგომარეობა უზრუნველ ყოფილია. მე გშორდები, რადგან შენთან ახლო ცხოვრება აღარ შემიძლიან. ძნელად წარმოსადგენია, რა ტანჯვა-უბედურებაში ვარ, მაგრამ არას გეტყვით... თქვენ თვითონ მიჰხვდით ჩემს ყოფას. მშვიდობით“.

დომინიკი

VI

ექვს-შვიდს წელს შემდეგ მალმეზონას სასახლის შესავალ კარებთან ეტლი დადგა. ეტლში მოხუცი დედაკაცი და მშვენიერი ოცის წლის ყმაწვილი ქალი ისხდნენ. სილამაზეს პარიჟში თავის მნიშვნელობა ჯერ არ დაეკარგა, ღირსებასაც თავისი ალაგი ეძლეოდა.

სულ უცხოც-კი იცნობდა ამ ორს ქალს. ამბობდნენ, რომ ეხლა თვით მთავრობაც ცდილობს კომბრევალებს როგორმე მოურიგდესო. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ელჩის მხლებლები და იქ მყოფნი დიდ-კაცნი მიეგებნენ ახლად მოსულთ.

მარტო კარის კაცმა ვერ იცნო ქალები და ჩვეულებრივის გულგრილობით ჰკითხა.

— რა გნებავთ?

— პირველის ელჩის ნახვა გვინდა.

— ელჩი არავის ინახულებს. ჯერ უნდა თხოვნა მიართვათ და...

— მაშ ისე არ შეიძლება?.. გააწყვეტინა სიტყვა მოხუცმა დედაკაცმა.

ამ ლაპარაკში მოულოდნელად მესამე ადამიანიც ჩაერია.

მარჯვნივ დიდის დარბაზის კარები ღია იყო. დარბაზში სამი ოქროს ბუზმენტით მორთული და სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი ჯარის უფროსი იდგა, ერთი იმათგანი გამოექანა ქალებისაკენ. ეს ახალგაზდა, წამოსადეგი და ლამაზი მთავარ ელჩის ჯარის უფროსი მიესალმა ქალებს. მოხუცმა მდაბლად დაუკრა თავი ახლად მისულს. ახალგაზდამა შეჰხედა თუ არა მოახლოვებულს, ელ-ფერი შეეცვალა და გახარებული წამოიძახა:

— დომინიკ!

დომინიკი გაუძღვა წინ და მადელინა და იმისი მამიდა ელჩთან შეიყვანა. ელჩის ოთახის კედლები სურათების მაგიერ ათას გვარის იარაღით იყო შეზავებული.

ფანჯრის მახლობლად მედიდურად იდგა შუა ტანის კაცი და დაფიქრებული ქუჩისკენ გაიყურებოდა. ის იყო ელჩი მარენგო.

ფეხის ხმაზე ელჩი მოტრიალდა და ქალები რომ დაინახა, მსწრაფლ გაექანა იმათკენ, სალამი მისცა და ჰკითხა.

— რა გნებავთ?

— ბ-ნო ელჩო, ეს ყმაწვილი მადელინა კომბრევალისაა; ამისი მშობლები სარჩობელაზე დაიხოცნენ. უმორჩილესად გთხოვთ, ნება დართოთ, თავისს სამშობლოში დაბრუნდეს...

— ნება მიმიცია...

— თავისი მშობლის მამულ-დედულიც დაუბრუნოთ...

— მამულ-დედულის დაბრუნება-კი ძნელია... მერე რაღა პასუხი გავცე იმათ, ვინც ეგ მამულები შეისყიდა. განა ნება მაქვს ისინი სულ უმიზეზოდ და უსაბაბოდ განვდევნო საკუთარის ფულით შეძენილ მამულიდგან?

— ეგ მამული მამა-პაპიდგან ჩვენ გვეკუთვნოდა.

— რა ვუყოთ მერე, მამა-პაპას ეხლა მნიშვნელობა აღარა აქვს.

ბ-ნო ჯარის უფროსო, ამ ქალებს იცნობთ?

— დიაღ! მადელინა კომბრევალისა ჩემი დობილი გახლავთ.

— ე. ი. დედა თქვენი ძიძა იყო მადელინასი?

— დიაღ!

— ერი ჰაა! ორივენი რად გაწითლდით! ძალიან კარგი, ქალბატონო, ელჩი მიუბრუნდა მადელინას მამიდას, იმ დღეს, რა დღესაც თქვენი დისწული და ბ-ნი ჯარის უფროსი ჯვარს დაიწერენ... იმ დღესვე თქვენი ძმისწული მიიღებს მამა-პაპეულს მამულს. თქვენ-კი, მადელინა, არ დაივიწყოთ, რომ ბ-ნი ჯარის უფროსი ჯერ კიდევ საჭიროა ჩვენთვის...

ჩამოვარდა თუ არა მშვიდობიანობა, ახალგაზდა ცოლ-ქმარნი ინგლისში წავიდნენ.

ქ-ნი ვენსანი ეხლა ქ-ნ ბოშად იწოდებოდა.

იმის მდგმურს მღვდელს ჯერაც არ დაესრულებინა კაპადოკიის ისტორია...

დომინიკი და მადელინა დიდის სიამოვნებით ათვალიერებდნენ იმ ქუჩებსა და ბაღებს, სადაც ორივენი ისე მოგებით ვაჭრობდნენ, მთავრობამ დომინიკს ჯერ გრაფობა მისცა და შემდეგ ხომ თავადის ღირსებაც უწყალობა. დომინიკის გვარის თქმა არ არის, ვგონებთ, საჭირო. იმისი სახელი, თუ მაინცა და მაინც გინდათ შეიტყოთ, მოჰნახეთ იმათ შორის, რომელთა სახელითაც შემკულია ვერსალის კედლები... დომინიკი და მადელინა ჩვენ დრომდე სცხოვრობდნენ; ცოლ-ქმარნი არა იშვიათად იგონებდნენ ხოლმე წარსულს, იგონებდნენ ეხლა, როდესაც თავიანთ სასახლეში ისხდნენ და მშვენიერად შემკულს სასახლის ბაღს გაჰყურებდნენ.

— რა დამავიწყებს ამ ამბავსაო, იტყოდა ხოლმე მოხუცი თავადი, რომ მე და შენ ერთხელ ხინკალსა ვყიდდით...

— მე რაღა დამავიწყებს, უპასუხებდა მადელინა, რომ მე ტიკინობასა ვწევდი.

ი. კახელი

ვებით მორთული და გარშემო მთებით შემკული, ეჩვენებინათ. ამიტომ მეოთხე და მეხუთე მოქმედებამ ისე ჩაიარა, რომ გულს არა მოგვხვედრია-რა.

ამ უკანასკნელს სამს მოქმედებაში-კი თოფის სროლა, ხმალ-ხანჯლის ტრიალი, ხოცვა-ჟლეტა ხალხისა, „საქართველოს გაუმარჯოს“—ძახილი და მაღალ-მაღალ ფრაზების სროლა ბევრი იყო. ყოველს ამას არა აკლდა განგაშის ცემა, ზურნის ჰყვირილი, სალჩობელა ჯალათებითურთ, რაიცა ბევრს მოეწონა და ამის გამო ბევრი ტაში იყო, ბევრი ბრავო, მრავალჯერ გამოიწვიეს ავტორი და დიდის ყოფით გამოაცილეს თეატრიდგან.

ჩვენის აზრით ეს პიესა, თუმცა ცოტასა თუ ბევრს იქ დამსწრეს მოეწონა, დიდს შესწორებას და შეკეთებას მოითხოვს, რადგან, მრავალს წვრილმანს ნაკლულევანებას გარდა, ის დიდი ნაკლულევანებაცა აქვს, რომ დრამა ჰქვიან და შიგ დრამა-კი არსად არის, არ არის სულის ცხოვრება, სულის მოძრაობა. მართალია ბევრმა მოიწონა ეს დრამა, ბევრი „ბრავო“ და ტაში იყო, მაგრამ ჩვენის ფიქრით, ეს მარტო იმას გვანიშნებს, რაოდენად სასურველია ჩვენის ხალხისათვის ჩვენის ისტორიის ამბების გახსენება და თვალ-წინ წარმოდგენა. მარტო ერთი ხსენება სახელოვანის ასპინძის ომისა საკმაოა, რომ ხალხი აღტაცებაში მოიყვანოს.

უსიამოვნოდ ხდის კაცს დრამაში აგრეთვე ის გარემოებაც, რომ რამდენიმე სცენა „სამშობლოდამ“ არის ნასესხები, ბევრი სიტყვა და თითქმის მთელი ფრაზები იქიდამვე ამოღებული. უკანასკნელი სცენა კიდევ „ქოროღლის“ უკანასკნელს სცენას მოაგონებს კაცს. თავს აბეზრებს მაყურებელს აგრეთვე წამ და უწუმ ლოცვა, ერთმანეთის კოცნა—ამბორება მოქმედ პირთა, ტირილი, ვაისა და ვუის ძახილი, უალაგო ალაგას მაღალ ფრაზების ხმარება, პტყელ-პტყელ სიტყვების სროლა და ისეთის სიტყვების ხმარება ხომ, რომელიც მხოლოდ ეხლახანს არის შემოღებული, როგორც მაგალითად, თანაგრძნობა, მოვლენა, სრულიად არ შეეფერება დრამაში მოქმედს, ვითომ და ასპინძის ომის დროინდელს, კაცებს და მერე ისიც გლეხკაცობას.

თითონ ასრულება და თამაშობა დრამისაც ვერ იყო სასურველი. რეჟისორს თითქო ეშრომნა, მაგრამ ვერა გაერიგებინა რა კი. არც მიხვრა-მოხვრა ჰქონდათ შესაფერი ზოგიერთს არტისტებს. მაგალითად ალექსი სანდოშვილს ისეთი მიხვრა-მოხვრა ჰქონდი, გლეხ-კაცს-კი არა, ევროპიელს, ჩოხაში გახვეულს, ფრანტს უფრო ჰგავდა.

ასეა თუ ისე, ბოლოს მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ახალგაზდა ავტორს, რომლის მხრითაც ეს პირველი ცდაა დრამის დაწერისა, ეტყობა სადრამატურგო ნიჭი და უნარი სცენის ცოდნისა. მის პიესაში რამდენიმე ალაგი მოიპოვება ისეთი, რომელიც ეფექტით არის სავსე და საკუთრად ავტორის შემოქმედობის ნაყოფია. ვისურვებთ მისთვის ყოველსავე წარმატებას და მით გულს არ გავიტეხავთ, რომ პირველი ცდა სუსტი გამოუვიდა. საფრანგეთის ერთმა ახალმა მწერალმა ორმოცი პიესა დასწერა, მაგრამ არც ერთი არ გამოდგა და ორმაც და-პირველი-კი ისეთი მოუვიდა წელს, რომ მთელი პარიჟია და ეს იმისი ახალი, საკვირველად მშვენიერი დრამა. მხოლოდ ეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვისაც უნდა სახელი და დიდება მოიხვეჭოს მოღვაწეობის რომელსამე ასპარეზზე, ნიჭს გარდა, ჯაფაა საჭირო, გამრჯელობა უნდა, მხნეობა, მუშაობა, სწავლა, ცოდნა. ჩვენი ახალი ავტორი-კი ჯერ ახალგაზდაა, და სწორედ იმ ხანშია, როცა, დიდის ნიჭის პატრონიც რომ იყოს, მისი დრამატიული ნიჭი ღონივრად ფრთას ვერ გაშლის. ჩვენ უიმედოდ არა ვრჩებით, რომ ჩვენი ახალგაზდა ავტორი, თუ რომ უბეჯითა თავისს საქმეს, უკეთესს თხზულებას შემოაწევს ჩვენს ღარიბს ლიტერატურას თვისდა სასახელოდ და ჩვენდა სასიამოვნოდ.

გ—გ

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**საბაშიო.** სოფელი ზემო-ჭალა ერთი უკეთესი სოფელია სუყველაფრითა საბაშიოში. აქ ას ორმოც კომლამდე დროებით ვალდებულნი საბატონო გლეხნი სცხოვრობენ. ეს ათი წელიწადია, რაც ამათ ჩინებული ერთ-კლასიანი სასოფლო სკოლა გამართეს და ყველაფრით უნაკლულოდ ინახვენ დღემდე. ამ სასწავლებელში წინაპირველად ბ-ნი ა. ნ—ძე იმყოფებოდა მასწავლებლად და ქართულის ენის სწავლება ოთხის წლის განმავლობაში საუცხოოდ მიდიოდა. შემდეგ ხსენებულს სასწავლებელში გადმოყვანილ იქმნა ბ-ნი რ. ფ—ძე, რომელიც გასაკვირველად ჰცდილობდა და გულ-მოდგინედ, მხნედ ასწავლიდა ბავშვებს, როგორც დედა-ენას, აგრეთვე რუსულად ლაპარაკსა და კითხვას. მაგრამ ეს მასწავლებელი მალე ცხოვრების ტალღამ დასძლია, მასწავლებლობას თავი მიანება და სოფლის მღვდლად წავიდა. მის მაგივრად სასწავლებელში გადმოყვანილ იქმნა მასწავლებლად რუსი, თუმცა კარგი კაცი, მაგრამ ქართულ ენის უცოდინარი. როგორც გავიგე, ქართულის ენის სწავლება აქ უკვე სუსტდება და უკან-და-უკან მიდის. ჩვენ იმედი გვაქვს კიდევ ამ სასწავლებლის მასწავლებლის თანაშემწის ბ-ნ ხ—სა, რომელმაც გორის სამოქალაქო სასწავლებელი გაათავა და დედა-ენა გვარიანად იცის და, თუ ეცდება, რიგიანად ასწავლის ბავშვებსაც. ამ სკოლის წინაშე ყველაზედ დიდი შრომა და ამაგი აქაურს მღვ. მ. ს—ეს მიუძღვის.

ს. ზემო-ჭალაში მცხოვრებნი თთ. აბაშიძეები ქებითა და დიდებით იხსენიებიან საკუთრად ზემო-ჭალაში და საზოგადოდ საბაშიოში, რადგანაც ყოველს შემთხვევაში ისინი პირველნი ქომაგნი და დამხმარენი არიან გლეხებისა სასამართლოებში და სხვა ადგილებში. ახლაც დიდი იმედია, რომ ისევ აბაშიძეები მოარიგებენ ზემო-ჭალელებსა ბ-ნ უ. გ. მარიანთან იმ საქმეში, რომელსაც ჩვენ ქვემოდ ამ წერილში მოვიხსენიებთ. საქმე აი რაში მდგომარეობს. ლევანისა, სვიმონისა, ნიკოლოზისა და ვანო აბაშიძეების ბიძა იყო ივანე აბაშიძე უშვილო კაცი, ზემო-ჭალაში მცხოვრებელი, რომელიც სახელმწიფო სამსახურში იყო. სამსახურიდგან რომ გამოვიდა „იჯარადრობა“ და ალებმიცემობა დაიწყო, თუმცა საკმაოდ ადგილ-მამული, ჰქონდა და ბევრი ყმა გლეხ-კაცი ჰყავდა საბაშიოში. ამ ნაირს საქმიანობაში ივანე აბაშიძეს დიდი სახელმწიფო ვალი დაედო და ამისათვის ადგილ-მამული იმისი შეკრული იყო მთავრობისაგან. ცოლ-ქმარის სიკვდილს შემდეგ მთავრობამ ვალში გაჰყიდა საჯაროდ აბაშიძის ადგილ-მამული გარეშე მიწებიცა და ნადელებიც. საჯარო ვაჭრობით ადგილ-მამული ივანე აბაშიძისა დარჩა ტფილისელს მცხოვრებელს ბ-ნ ხატისოვს. ბ-ნმა ხატისოვმა ერთი სოფელი, სახელდობრ ზემო-ჭალა, ორ ნაწილად გაჰყო, სანადელოდა და გარეშე საძოვარ ადგილებად და გაჰყიდა. საძოვარი ადგილები ორას-სამას თუმანში თ. ვეზირიშვილმა დაინარჩუნა ხატისოვისაგან. სანადელო მიწები-კი იყიდა ბ-ნ მ. გმ—ანმა, რომელსაც ჭალელები, რიცხვით ორმოც კომლამდე, ემსახურებიან მეოთხედების გარდახდითა. გლეხებს თავიანთ ნებაზედ ვერ მიჰქონდათ მოსული ჭირნახული მინდვრებიდამ და მანამდინ მ—რიანი არ დაათვალიერებდა მოთიბულ-მომკილს ყანებს მინდვრებში, მანამდინ გლეხები ვერ შეუდგებოდნენ ყანების ზიდვას. ეს გარემოება აწუხებდა გლეხებსა და უნდოდათ როგორმე თავი გამოესყიდათ დროებით მებატონესაგან და ამ ნაირად თავიანთი საყვარელი მიწა-წყალი დაესაკუთრებინათ... ამისთანა ფიქრებსა და დუმილში რო იყო გლეხობა, გამოვიდა ხმა, რომ ტფილისში დაარსდება საგლეხო-სახელმწიფო „ბანკი“, საიდგანაც გლეხობას ნება მიეცემა, ისესხოს, გამოიტანოს სახელმწიფო ბანკიდგან ფული, შეისყიდოს მით ნადელები მებატონეებისაგან და აგრეთვე სხვა ადგილებიც შეიძინოს და ალებული ვალი ორმოცის წლის განმავლობაში გადიხადოს მოვალე გლეხმაო. ამ ხმამ მეტად გაახარა გლეხ-კაცობა და დიდად ასიამოვნა. ამ დროს ბ-ნმა უ. გ. მ—მაც კეთილის რჩევით მიჰმართა ჭალელებსა და უთხრა: „აბა, შვილებო და ძმებო, ახლა გაქვთ დრო, შეისყიდეთ და სიამტკბილობით მოვშორდეთ ერთმანეთსაო“. გლეხებმა ამაზე უპასუხეს: მოდი, ბატონო, და ისევ თქვენ მოგვეიხერხეთ ეს საქმეო. წაბრძანდით ქალაქში, ფული, დღიურზედ სამი თუმანი, თქვენ მიიღეთ და ჩვენი ადგილები ბანკს ჩააბარეთ ჩვენს სახელობაზედაო. „ამის გულისთვის მე ბევრი შრომა და დავიდარაბა დამჭირდებაო“, უთხრა მ—ნმა, „ხუთ-ხუთი მანეთი ფეხის ქირა და დასამტკიცებელი მომეცით თვითეულმა ოჯახმა, წაველ და მაგ საქმეს რიგიანად გავაკეთებ, დავამტკიცებ თქვენს სახელზედა და ისე მოვალო. გლეხებმა ხუთ-ხუთი მანეთი მოუტანეს და ნაღდად დაუთვალეს ბ-ნს მ—სა. ბ-ნ მ—ნს ეს საქმე ჯერაც არ გაუკეთებია და გლეხებს ეუბნება: ეს საქმე ჯერ-ჯერობით ვერ მოვახერხე და წარსულის ორის წლის მეოთხედი უნდა მომცეთო. გლეხები ხუთ-ხუთ მიცემულს მანეთს უკან სთხოვენ, რომელსაც თურმე, როგორც ამბობენ, აღარ უბრუნებს და ამბობს, რომ იმათი ხუთ-ხუთი მანათი ფეხის ქირაში და მისვლა-მოსვლაში დაიხარჯაო. გლეხებიც ამისათვის წარსულის წლების მეოთხედს აღარ იძლევიან და ამ ნაირად, როგორც გვითხრეს, ძლიერ გატანჯულია ზოგიერთა ზემო-ჭალელის მდგომარეობა და ყოფა-ცხოვრება. აი ამ საქმეში მორიგების თაობაზედ მოგახსენეთ ზემოდ. ღმერთმა ჰქნას კეთილად გათავებულიყოს ეს საქმე გლეხებისა და მ—ნს შორის.

საძოვარი ადგილები, როგორც ზემოდ ვსთქვით, თ. ვეზირიშვილმა იყიდა და ამ დღიდგან აღუკრძალა ჭალელებს საქონლის ტარება და ძოვება მინდვრებში. წინად გლეხობა არავის არაფერს აძლევდა საბალახო საძოვრებში. ამიტომაც ზემო-ჭალელებსა და თ. ვეზირიშვილს ხშირად მოსდიოდათ უსიამოვნება საძოვრების გამო და ჭალელები ძალით დადიოდნენ საქონლითურთ და აძოვებდნენ. ატყდა იმათ შორის დიდი საჩივარი. საქმე სასამართლოებში გათავებული არ იყო, რომ თ. ვეზირიშვილმა რამდენიმე გლეხები დაიყოლია და მიჰყიდა საძოვარი ადგილები ექვსას-შვიდას თუმნად. ზოგნი-კი ნებას არ დაჰყვნენ თ. ვეზირიშვილსა და საჩივარი საჩივრად მიდიოდა. უბედურება ის იყო, რომ დარჩენილი გლეხების საქმე გატანჯვით გაორკეცდა. თ. ვეზირიშვილს ხომ უჩიოდნენ და უჩიოდნენ და თავისის მეზობლების წინაშეც უნდა ძალა ეხმარათ, რომ წინანდელივით საძოვრად ეტარებინათ საქონელი. ეს საქმე ჯერაც, როგორც გავიგეთ, არ გათავებულა და, ამბობენ, რადგანაც გლეხობა თავის დღეში უფასოდ-უსასყიდლოდ სარგებლობდა საძოვარ ადგილებით, ახლაც ისე დაჰრჩებათ და ისარგებლებენო. ვეზირიშვილმა-კი ის ფული, რომელიც იმაში გაიღო და ხატისოვს მისცა, ისევ უკან უნდა გადაახდევინოსო. აი ეს საქმეც ასეა გახლანჯილ-დატანჯული ვეზირიშვილებსა და გლეხებს შორის.

თთ. ვეზირიშვილები სოფ. ოსიაურში დგანან. ეს ის სოფელია, რომელიც ჩვენის განსვენებულის ისტორიკოსის დ. ბაქრაძის წინაპრების სამშობლოდ ითვლება. აქ გლეხებსა და ერთს ვეზირიშვილს შორის ერთი ამბავი მომხდარა, რომელიც, ჩვენის აზრით, ინტერესს არ არის მოკლებული და ღირსია გაზეთში მოხსენებისა. აი რაშია საქმე. სოფ. ოსიაურში ქერივობილი ბევრია თურმე. იმათს გადასახადს მთავრობა გლეხობას ახდევინებდა და ეს მეტი გადასახადი გლეხებს ძლიერ უძნელდებოდათ. ზემოხსენებულმა ვეზირიშვილმა უთხრა, როგორც ამბობენ, გლეხებს: ეგ მომეტებული გადასახადი რომ აგაცილოთ, თითო-თითო ურემს შეშას ხომ მომიტანთო. გლეხები ამაზედ დასთანხმდნენ. ვეზირიშვილმა მართლაც საქმე გააკეთა და გლეხებს ააცილა ეს მეტი გადასახადი. გლეხებსაც უნდა მოეტანათ დაპირებული შეშა ვეზირიშვილისათვის, მაგრამ, დახე ხათაბალას, ოსიაურელები ტყეში აღარავინ შეუშვა. ვის ტყეში დადიოდნენ აქნობამდინ? ისინი დაიარებოდნენ თ. ნ. დ—ძის ტყეში და, რადგანაც ბ-ნ უ. გ. მ—ნი თ. დ—ძის ტყისა და ველის გამგებლად ითვლებოდა, ამისათვის გლეხები ყოველთვის მ—ისგან მიცემულის ბარათებით დადიოდნენ და მოჰქონდათ საოჯახო შეშა და ცოტაოდენი მასალა. მ—ნმა, ასე სთქვეს, თავი დაანება თ. დ—ძის ტყე-ველის გამგებლობასა და თ. დ—ძე, როგორც გავიგეთ, მ—ნის ბარათებით აღარ ატარებს ოსიაურელებს ტყეში. ეუბნება, რომ ვისაც გინდათ, მოდით და ჩემგან აიღეთ ბარათებიო. ეს ასე უნდა იყოს, მაგრამ გლეხებს რომ ამ წლის დამლევამდე ტყის ფული აქვთ უკვე გადებული და მ—რიანის ბარათებით უნდა ეარნათ, ეს რაღა არის? გლეხები ამ ორ-სამს თვეს ტყეში უსიარულობას არ ჩივიან კიდევ. უბედურება ეს არის, რომ პირობის ძალით თ. ვეზირიშვილი შეშას სთხოვს გლეხებსა და გლეხებს-კი არსაიდგან არ შეუძლიანთ შეშის მოტანა. ამიტომაც ვეზირიშვილი მოთმინებიდგან გამოსულა, სურამის სასამართლოში საჩივარი შეუტანია გლეხებზედ და, როგორც სთქვეს, ფულად გადაუწყვეტინებია თავის ასანაზღაურო და აღმასრულებელი ფურცელიც უკვე გამოუტანია სასამართლოდგან.

საბაშიოელი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Русская Жизнь“-ში, რომელიც წინად „Минута“-ს სახელით იბეჭდებოდა, საყურადღებო წერილია რუსეთის პროვინციალურ ჟურნალ-გაზეთების შესახებ.

გადრე ამ საგნის შესახებ ვიტყოდეთ რასმე, ამბობს გაზეთი: ყოველივე გარემოება უნდა გავითვალისწინოთ, ის გარემოება და პირობანი, რომელთა შორისაც ცოცხლობს და ჰსულდგმულობს ეს გაზეთები. უმთავრესი ავი და შემაფერხებელი ამ გაზეთობისა ის არის, რომ ცენზორის ზედამხედველობის ქვეშ იბეჭდება. მართალია, ცენზურა თავის და თავად იმდენად გზის შემლობავი არ არის, რამდენადაც თვით ამ მოვალეობის აწინდელნი შემსრულებელნი მძლეს გზაზედ სიარულით აძნელებენ საქმეს. პროვინციალურის გაზეთის ბედ-იღბალი თითქმის უმეტეს ნაწილად საგუბერნიო მმართველობისა და ან პოლიციის მოხელის ხელშია, იმ ადამიანებისა, რომელთაც სამაზრო სასწავლებელში უგემებიათ სიბრძნე-მეცნიერება და, რაღა თქმა უნდა, ურცხვად აწერლებენ წითელის მელნით ნაწერ-ნათხზს, განსაკუთრებით იმისთვის უწრით ჭკუა, რომ ყოველ „გუბერნატორის“ ხსენებაზედ ამ სიტყვას წინ „ბატონი“ უნდა უძღვეს, „ბ-ნ გუბერნატორისაო“ უნდა იყოს. ამას გარდა თითქმის ყოველ გაზეთს თავისი სხვა მბრძანებელიც ჰყავს... დასასრულ პროვინციის გაზეთი დიდად შევიწროებულია ხელ-მოკლეობისა და სიღარიბის გამო.

იმისდა მიუხედავად, რომ ეს გაზეთები ესეთს არა-სასიამოვნო მდგომარეობაში არიან და ამ უსიამოვნო მდგომარეობას კიდევ ზედ ერთვის სატახტო ქალაქების ჯიბრი, ეს გაზეთობა თან და თან ფეხს იდგამს, ვრცელდება და გზას იკვლევს წინ სასვლელად.

უწინ სატახტო ქალაქის გაზეთშიაც ისე იშვიათად შეჰხვდებოდით პროვინციელ გაზეთიდგან რომელისამე მკვლელობისა და ან სხვა რამ შესანიშნავ მოვლენის ამბავს გადმობეჭდილს, რომ ასეთი ამბავი სწორედ 200,000 მანათის მოგებას უდრიდა. ასე იყო უწინ, ეხლა-კი, პირ-იქით, პროვინციელი გაზეთია თითქმის უმთავრესი მკვებავი და მასაზრდოებელი სატახტო ქალაქის გაზეთებისა. ამას გარდა ბევრს ქმნება შენიშნული, რომ სატახტო ქალაქის გაზეთებში ეხლა ისე ხშირად აღარ იბეჭდება პროვინ-

ციის ამბები, საკუთარის კორესპონდენტისაგან მოწერილი. ზოგიერთნი ამ გარემოებას ნაკლადაც-კი უთვლიდნენ ზემოხსენებულს გაზეთებს და ჰკიცხავდნენ, რომ პროვინციის ცხოვრებას თვალ-ყურს არ ადევნებთ და განგებ პირს არიდებთო. ამ გარემოებას-კი თავისი მიზეზი აქვს და ფრიად შესაწყნარებელი მიზეზიც. კორესპონდენციებსა და სხვა წერილებს სატახტო ქალაქის გაზეთებში აღარავინა ჰგზავნის, ისევ თავისს ქალაქში არსებულს გაზეთში ბეჭდვას ამჯობინებს. უწინ თუ მთელი გროვა წერილებისა მიდიოდა სატახტო ქალაქების გაზეთის რედაქციებში, ეხლა ოროლე წერილი თუ მიდის და ისიც ისეთის საგნის შესახებ, რომლის გამო ლაპარაკიც შეუძლებელია პროვინციაში. ეს კიდევ არაფერი. ზოგიერთი სატახტო ქალაქის რედაქცია იმასაც-კი არის იძულებული, რომ პროვინციაში წერილები მიიწეროს ხოლმე და ითხოვოს—კორესპონდენციები მომაშველეთო. უწინ ასეთი საქციელი სატახტო ქალაქის გაზეთებისა წარმოსადგენადაც ძნელი იყო, ეხლა-კი თავისს საკუთარს კორესპონდენტსაც ჰგზავნიან პროვინციაში.

## წვრილი ამბები

ნიუიორკის ერთმა სასამართლომ ამას წინად 50 წლის ქალი ემმა ლიონი განაქორწინა თავისს ქმარს. საქმის გარჩევიდგან აღმოჩნდა, რომ ეს ქალი თერთმეტჯერ ყოფილა გათხოვილი სხვა-და-სხვა კაცზე. პირველად თექვსმეტის წლისა დურგალს დრაკლიას მისთხოვებია, მაგრამ სამს წელს შემდეგ დაქვრივებულა და ახლა ინჟენერი რობერტი შეურთავს. რობერტს მალე გაჰყრია და მკურნალ მარიატს გაჰყოლია ცოლად; ქმრის მიხედვით თითონაც დაუწყია სამკურნალო მეცნიერების სწავლა, დაუჭერია ეგზამენი და მკურნალობის ხარისხი მიუღია. ეს ქმარიც მომკვდარა. შემდეგი ქმარი გაჭარი ბალღიარდი ორთქლის მატარებლის დამსხვრევის დროს დაღუპულა და 27 წლის ქვრივი ემმა გამოჩენილს ვექილს ტოლიდო-ვანიდენს უთხოვნია. ამ ქმართან ორი წელიწადი უცხოვრია, ორი შვილი გასჩენია და კიდევ დაქვრივებულა. ტოლიდო-ვანიდენს დიდი სარჩო-საბადებელი დაუტოვებია. ვექილს შემდეგ ემმას ზედიზედ შეურთავს ოთხი ქმარი—შტრანხატერი, დურგალი მოორი, მხატვარი ტომასი და მემამულე კუნნინგამი, მაგრამ ოთხსავე გაჰყრია და ცალკე დაუწყია ცხოვრება. თითოეულს მათგანთან 1—2 წელიწადზე მეტი არ დარჩენილა. მეათე ქმარი ემმასი მებანკე სპენსერი ყოფილა, რომელიც ემმას შერთვამდე 8 ჯერა ყოფილა ჯვარ-დაწერილი. ორის წლის უკან ეს ქმარიც მომკვდარია და ერთი მილიონი მანათი იმისგან დარჩენია. ემმას იმედი აქვს მეთერთმეტედ გათხოვებისა და არც ტუვილი უნდა იყოს იმისი იმედი, რადგანაც სახითაც ჯერ ჭარმაგია და მზითევი ხომ, რაღა თქმა უნდა, ბლომად აქვს. მგონი ბევრი არ ითაკილებს მეთორმეტე ქმრობას, რაკი ემმას შერთვით ასეთს დოვლათს დაიწყებს.

— პარიჟის გაზეთებში სწერია, ელექტრონის ჯოხი მოიგონეს, რომლითაც ადვილად შეიძლება ავაზაკი მოიგეროს, თუ კაცს თავს დაეცა და გაძარცვა და ან მოკვლა დაუპირაო. ჯოხს პატარა ღილი აქვს. ამ ღილს რომ თითი დააჭიროს, ჯოხის წვერიდგან ისეთი ძლიერი ელექტრონის ძალა გავარდება, რომ კაცს მაშინვე დაბნედავს, თუმცა სიკვდილით კი არ მოკვდება. ამ გვარად კაცი შეიძლება ავაზაკს ხელიდგან გაუსხლტეს და ან საშველად დაუძახოს ვისმე. ეს ყველაფერი კეთილი და პატიოსანი, კარგი იარაღია ეს რაღაც ახალი მოგონილი ელექტრონის ჯოხია, მაგრამ ავაზაკიც რომ იმ იარაღითვე იყოს შეიარაღებული, მაშინ როგორღა უნდა მოიქცეს კაცი?

— ქალაქ ლიმას (პერუშია) ეპისკოპოზმა ერთის გაზეთის რედაქტორს ეკკლესიაში საიქიო აღუკრძალა მხოლოდ იმიტომ, რომ თავისს გაზეთში ბრაზილიელ მწერალის ვიღაც ნეტოს ამბავი დაბეჭდა. ამას გარდა ქალაქის მცხოვრებლებმაც კრება გამართეს, მოიტანეს ის ნომრები, სადაც ხსენებული ამბავი იყო დაბეჭდილი და მოედანზე საჯაროდ დასწვეს.

## დეპეშა

28 ნოემბერი

პეტერბურგი. „Правит. Вѣст."-ს სწერენ ბერლინიდამ, რომ პროფესორმა ბერგმანმა წაიკითხა ლექცია რუსულად რუსთა მკურნალთათვის კოხისებურ წამლობის წესის შესახებ.

გამოცხადებულია 800-მდე მამული სხვა-და სხვა გუბერნიებში საჯარო ვაჭრობით გასასყიდად სათავად-აზნაურო ბანკში ხვედრის ფულის შეუტანლობის გამო.

ბერლინი. იმპერიის კანცლერმა გამოაცხადა პარლამენტში, რომ მოსალოდნელი არ არის ხარჯის მომატება ჯარისა და მხედრობისათვისაო.

### პეტერბურგის ბირჟა, 27 ნოემბერი.

| | მყიდველთა. | გამყიდველთა. | გაყიდულთა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 88 | 6 90 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 137¾ | 138¼ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 236 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 217½ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | 214½ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | — „ | — „ | — |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჯადაზე გემები.

## განცხადებანი


„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

**ლექსიკონი**

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში"

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების"

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სამი ისტორიული ხრონიკა, გამოცემული ექ. თაყაიშვილის მიერ . . . | 1 | „ |
| Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по малой Азіи А. Хаханова | „ | 50 |
| ქართული სახელმძღვანელო ნოტებისა . . . . . | „ | 60 |
| ოქროს ხოხობი, დ. დათოშვილისა . . . . . . | „ | 5 |
| არჩილიანი, გამოცემ. მაჩიტაძის—დიმელისა . . | „ | 75 |
| მარაბდა პოემა ა. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქიტესა, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკი ხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |
| ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა . . . . | „ | 40 |
| იავნანამ რაჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა . . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 80 |
| გრამატიკა ქორდანიასი . | „ | 55 |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**ივერია**

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით. . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

Открыта подписка на 1891 годъ

на общественно-политическую и литературную газету

съ обширнымъ „нефтянымъ отдѣломъ"

# „КАСПІЙ",

(ИЗДАНІЯ ГОДЪ ОДИННАДЦАТЫЙ).

Значительно увеличивая съ 1 января 1891 года форматъ газеты (до размѣровъ газеты „Кавказъ"), редакція нашла возможнымъ оставить прежнюю подписную цѣну, такъ что въ 1891 году газета „Каспій" будетъ стоить:

| | р. | к. | | р. | к. |
|---|---|---|---|---|---|
| *Съ доставкой*: въ годъ . | 7 | — | *Съ пересылкой* въ годъ . | 8 | 50 |
| „ „ на полгода . | 4 | — | „ „ на полгода . | 5 | — |
| „ „ на 3 мѣс. . | 2 | 50 | „ „ на 3 мѣс. . | 3 | — |
| „ „ на 1 мѣс. . | 1 | — | „ „ на 1 мѣс. . | 1 | 50 |

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ по соглашенію съ редакціей, но съ тѣмъ, однако-жъ, условіемъ, чтобы при подписке было внесено не менѣе 3 руб. для городскихъ и 4 руб. 50 коп. для иногороднихъ подписчиковъ. 15 февраля 2 р. и 15 марта 2 руб.

КРОМѢ ОБЫЧНЫХЪ ГАЗЕТНЫХЪ ОТДѢЛОВЪ,

*«Каспій» имѣетъ обширный* **„Нефтяной отдѣлъ"**, *спеціально преслѣдующій разработку вопросовъ русскаго нефтянаго дѣла. Въ составъ этого отдѣла входятъ: а) руководящія статьи по русской нефтепромышленности, б) статистическія свѣдѣнія о добычѣ, переработкѣ и экспортѣ русской нефти, в) таковыя-же статистическія свѣдѣнія объ американской нефтепромышленности, г) цѣны на главнѣйшихъ рынкахъ на нефтяные продукты въ Россіи и за границей и д) мелкія замѣтки, сообщенія и статьи, до нефтяной промышленности относящіяся.*

Подписныя деньги адресуются: г. Баку, въ контору газеты „Каспій", д. Красильникова. Въ Тифлисѣ подписка принимается при редакціи газеты „Тифлисскій Листокъ".

(3—2) Редакторъ *Н. Соколинскій.*


Доз. цен. Тифлисъ, 28-го Ноября 1890 г. Типо-Литографія Б. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე